## საინფორმაციო ფურცელი

**შენიშვნა: აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს დაზღვევის პირობების შესახებ არასრულ ინფორმაციას. საინფორმაციო ფურცელი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური იურიდიული ძალის მქონე და მისი გაცნობა და სადაზღვევო კომპანიის მიერ მასთან დაკავშირებული განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და მოთხოვნებს მხარეთა შორის.**

- **მზღვეველი: სს „დაზღვევის საერთაშორისო კომპანია ირაო“** (ს/კ 205023856)
  მისამართი: ქ. თბილისი, ვ. ბოჭორიშვილის ქ. #88/15

- **დაზღვევის ხელშეკრულების სახე:** ავტოტრანსპორტის დაზღვევა

- **ფრანშიზა:**
  - ფრანშიზა არის სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას ზარალის ნაწილი, რომელსაც მზღვეველი არ აანაზღაურებს. მზღვეველი არ არის პასუხისმგებელი ზარალზე, რომლის ოდენობა არ აღემატება ფრანშიზას, დანარჩენ შემთხვევაში, ყოველი ზარალი ანაზღაურდება ფრანშიზის თანხის გამოკლებით;
  - ფრანშიზა შესაძლებელია ითვალისწინებდეს სამ შემთხვევას: ავტოსატრანსპორტო საშუალების ნაწილობრივი დაზიანება; ავტოსატრანსპორტო საშუალების სრული ზიანი; გაჩერებული ავტოსატრანსპორტო საშუალების დაუდგენელ ვითარებაში ან დაუდგენელი პირის მიერ დაზიანება;
  - ფრანშიზა და მისი ოდენობა, ასეთის არსებობის შემთხვევაში, განისაზღვრება სადაზღვევო პოლისში;

- **სადაზღვევო თანხა:** განისაზღვრება პოლისით

- **ფინანსური ხარჯი სადაზღვევო პრემიის გარდა:**
  - **მზღვეველის ინიციატივით დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას:**
  - თუ პოლისზე ზარალი არ ფიქსირდება, დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია გადაიხადოს გამომუშავებული პრემია;
  - თუ პოლისზე ფიქსირდება ზარალ(ებ)ი, ჯამურად სადაზღვევო პრემიაზე მეტი, მაშინ დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სრულად;
  - თუ პოლისზე ფიქსირდება ზარალ(ებ)ი, ჯამურად სადაზღვევო პრემიაზე ნაკლები, მაგრამ გამომუშავებული პრემიისა და პირგასამტეხლოს ჯამზე მეტი, მაშინ დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია გადაიხადოს ანაზღაურებული ზარალის ოდენობა სრულად;
  - თუ პოლისზე ფიქსირდება ზარალ(ებ)ი, ჯამურად სადაზღვევო პრემიაზე ნაკლები და ამავდროულად გამომუშავებული პრემიისა და პირგასამტეხლოს ჯამზე ნაკლები, მაშინ

დამზღვევი/დაზღვეული ვალდებულია გადაიხადოს გამომუშავებული პრემიის და პირგასამტეხლოს ჯამი სრულად.

- **დამზღვევის/დაზღვეულის ინიციატივით დაზღვევის ვადაზე ადრე შეწყვეტისას:**

- თუ პოლისი უზარალოა, დაზღვეული ვალდებულია გადაიხადოს სრული გამომუშავებული პრემია;
- თუ პოლისზე ფიქსირდება ზარალ(ებ)ი, ჯამურად სადაზღვევო პრემიაზე მეტი, მაშინ დაზღვეული ვალდებულია გადაიხადოს სადაზღვევო პრემია სრულად;
- თუ პოლისზე ფიქსირდება ზარალ(ებ)ი, ჯამურად სადაზღვევო პრემიაზე ნაკლები, მაგრამ სრული გამომუშავებული პრემიისა და პირგასამტეხლოს ჯამზე მეტი, მაშინ დაზღვეული ვალდებულია გადაიხადოს ანაზღაურებული ზარალის ოდენობა სრულად;
- თუ პოლისზე ფიქსირდება ზარალ(ებ)ი, ჯამურად სადაზღვევო პრემიაზე ნაკლები, ამავდროულად სრული გამომუშავებული პრემიისა და პირგასამტეხლოს ჯამზე ნაკლები, მაშინ დაზღვეული ვალდებულია გადაიხადოს გამომუშავებული პრემიის და პირგასამტეხლოს ჯამი სრულად;

- **ანაზღაურებას ექვემდებარება (სადაზღვევო რისკები):**
  - ავტოსაგზაო შემთხვევა
  - სტიქიური უბედურებები – მიწისძვრა, სეტყვა, წყალდიდობა, დიდთოვლობა, ქარიშხალი, მეწყერი, ღვარცოფი, მეხის დაცემა

- **დაფარვები, რომლის დამატებით შეძენა არის შესაძლებელი:**
  - მესამე პირის წინაშე დაზღვეულის პასუხისმგებლობის დაზღვევა

- **ანაზღაურებას არ ექვემდებარება (გამონაკლისები):**
  - **ავტომანქანის გასაღების ქურდობა/დაკარგვა.**
  - **ავტოსატრანსპორტო საშუალებაში ჩამონტაჟებულ ბუნებრივი აირის დანადგარზე ან დანადგარით გამოწვეული ზიანი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).**
  - **ავტოტრანსპორტის საგარანტიო შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ღირებულება, სამუშაოები, დაკავშირებული ავტოტრანსპორტის რეკონსტრუქციასთან, გადაწყობასთან ან ცალკეული ნაწილების გამოცვლასთან (დამატებით აღჭურვა).**
  - **ცვეთით გამოწვეული დაზღვეული სატრანსპორტო საშუალების გაუფასურება ან დაზიანება.**
  - **კონფისკაცია, დაპატიმრება, დაკავება ან სახელმწიფო ორგანოების დავალებით გამოწვეული დაზიანება/ზარალი.**
  - **თუ ავტოტრანსპორტს მართავს ალკოჰოლური, ფსიქოტროპული ან ნარკოტიკული საშუალებების ზემოქმედების ქვეშ მყოფი მძღოლი, მიუხედავად იმისა, სადაზღვევო შემთხვევა მისი ბრალეულობით არის გამოწვეული თუ არა. ასევე იმ სამკურნალო პრეპარატების მიღებისას დამდგარი სადაზღვევო შემთხვევა, რომლის ანოტაციის მიხედვით სახიფათოა**

ავტომობილის მართვა და სადაზღვევო შემთხვევა გამოწვეულია უფლებამოსილი მძღოლის ბრალეულობით;

- თუ ავტოტრანსპორტს მართავს პირი, რომელსაც არ აქვს ან დროებით ჩამორთმეული აქვს მოცემული კატეგორიის ავტოტრანსპორტის მართვის უფლება ან რომელიც არ არის მითითებული ავტოტრანსპორტის დაზღვევის განაცხადში, როგორც უფლებამოსილი მძღოლი, ან თუ სადაზღვევო შემთხვევის დადგომის შემდეგ გაირკვევა, რომ დაზღვეულის მიერ წარმოდგენილი საიდენტიფიკაციო მონაცემები არასწორი ან ყალბია.
- თუ დაზღვეული ავტომობილის მძღოლი მოძრაობს საპირისპირო მიმართულების სამოძრაო ზოლში, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევით, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ეს გამოწვეულია მესამე პირის სიცოცხლის ან ქონების გადარჩენის აუცილებლობით.
- თუ სადაზღვევო შემთხვევა შედეგად მოჰყვა ავტოტრანსპორტის, როგორც ტვირთის, ტრანსპორტირებას, მის დატვირთვას, გადმოტვირთვას, ასევე საზღვაო, სახმელეთო, სარკინიგზო ან სხვა ტრანსპორტით, მათ შორის, ლაფვეტით გადაზიდვას ან ბუქსირით გადაადგილებას.
- ავტოტრანსპორტის შეუსაბამო საგზაო პირობებში გამოყენება (ავტომობილის ისეთ ადგილებში გამოყენება, რომელიც არ არის განკუთვნილი ავტომობილის მოძრაობისთვის), რბოლებში მონაწილეობა, დაზიანება დაზღვეული ავტომობილის ნებისმიერი სახით გამოცდისას (Test Drive, Off Road).
- ავტოტრანსპორტით ფეთქებადი, თვითაალებადი ნივთიერების ან საგნების გადაზიდვისას ასეთი საგნებით გამოწვეული ზარალისას.
- მზღვეველთან შეუთანხმებლად ავტოტრანსპორტის გამოყენებისას სასწავლო, სასპორტო ან სპეციალური დანიშნულების (სასწრაფო დახმარება, საგზაო პოლიცია, ჯავშანტრანსპორტი, ტაქსი და ა.შ.) მიზნით.
- თუკი სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას აღმოჩნდება, რომ დაზღვეული ავტომობილი გამოიყენებოდა კომერციული მიზნებისთვის ან ავტოსატრანსპორტო საშუალებაზე გაცემულია ტაქსის ლიცენზია და ეს ინფორმაცია დაზღვეულმა არ შეატყობინა მზღვეველს, მზღვეველი იტოვებს უფლებას, არ აანაზღაუროს დამდგარი ზარალი.
- ზარალი, რომელიც გამოწვეულია ტექნიკურად გაუმართავი ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციისას ან რომელსაც დროულად არ გაუვლია სავალდებულო (ასეთი მოთხოვნის არსებობისას) ტექნიკური დათვალიერება და ეს გაუმართაობა გახდა დაზიანების ან ზიანის ოდენობის გაზრდის მიზეზი, ასევე ავტოტრანსპორტის, აკუმულატორის, სხვა ელექტრომოწყობილობის და/ან მისი ცალკეული ნაწილების დაზიანება მოკლე ჩართვით.
- ავტოტრანსპორტის ისეთი შეკეთება, რომელიც აუმჯობესებს ავტოტრანსპორტის ზარალის დადგომამდე არსებულ მდგომარეობას.
- ნებისმიერი სარემონტო ხარჯი, რომლებიც გამოწვეულია დაზღვევამდე არსებული მიზეზით; ასევე ავტომობილის იმ ნაწილების შეკეთების/ჩანაცვლების/აღდგენის ხარჯებს, რომლებსაც სადაზღვევო შემთხვევამდე ჰქონდათ დაზიანება.
- გაუფასურება, გამოწვეული ავტომობილის შეკეთებით.
- კაბრიოლეტის ტიპის ავტომობილების შემთხვევაში ტენტების, სალონის საფარი ბრეზენტების ცალკეული დაზიანება (თუ დაზღვევის პოლისით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული).

- დამზღვევის არაპირდაპირი ზიანი (მიუღებელი შემოსავალი), რომელიც სადაზღვევო შემთხვევის შედეგია.
- ავტოტრანსპორტის ქურდობა სარეგისტრაციო მოწმობასა ან/და გასაღებთან ერთად (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დაკარგულია ავტომობილის გასაღები ან სიგნალიზაციის პულტი და ამის შესახებ დაზღვეულმა შეატყობინა მზღვეველს).
- ავტოტრანსპორტის ქურდობა, რომელსაც ქურდობის მომენტში ჰქონდა ჩაწეული მინები და/ან ღია კარი.
- ავტოტრანსპორტის სარეგისტრაციო ნომრის ქურდობა.
- საბურავების, დისკების, სავალი ნაწილის, ტრანსმისიის, ძრავის ცალკეული დაზიანება.
- ზიანი, რომელიც გამოწვეულია: ომით (მიუხედავად იმისა, გამოცხადებულია თუ არა), შემოჭრით, მტრული ძალების ქმედებით, მტრული ან საომარი მოქმედებებით, სამოქალაქო მღელვარებით, გაფიცვით, ხელისუფლების მიერ, ტერორიზმის აქტით ან მისი მცდელობით, იონიზებული რადიაციით ან რადიოაქტიური დაბინძურებით, ატომური ან ბირთვული ნივთიერებებით, რადიოაქტიური, ტოქსიკური ნივთიერებებით.
- სხვა მოქმედება, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის თანახმად წარმოადგენს ზარალის ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს.
- არაქარხნული აქსესუარები, თუკი ეს წინასწარ არ არის შეთანხმებული მზღვეველთან.
- ავტომობილის გარე ფირის ცალკეული ან/და სრული დაზიანება.
- ცხოველების ან ფრინველებისგან გამოწვეული ნებისმიერი ზიანი, მათ შორის ზიანი რომლის აღმოფხვრაც დაკავშირებულია სამღებრო სამუშაოებთან, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც უშუალოდ დაზიანებულია ავტომობილის გარე / ვიზუალური დეტალები (თუნუქის და პლასტმასის), ბამპერები, მინები, სარკეები, მაშუქები.

აგრეთვე, სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა თუ დაზღვეული:

- როგორც სადაზღვევო პოლისის მიღებამდე, ისე მისი მოქმედების ვადის განმავლობაში, არ შეატყობინებს მზღვეველს უტყუარ ინფორმაციას, რომელსაც მნიშვნელობა აქვს სადაზღვევო რისკის სახისა და ხარისხის განსაზღვრისათვის;
- არ აცნობებს მზღვეველს ავტოტრანსპორტის ექსპლუატაციის პირობებში ნებისმიერი არსებითი ცვლილების შესახებ;
- არ გადაიხდის პრემიას სადაზღვევო პოლისში განსაზღვრულ ვადებში;
- არ წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულებით განსაზღვრულ დოკუმენტებს;
- დაზღვევის განაცხადში არ მიუთითებს ყველა იმ არა ქარხნული დეტალისა და აქსესუარის შესახებ, რომლითაც აღჭურვილია ავტოტრანსპორტი (თუ ასეთი არსებობს);
- დაარღვევს ხელშეკრულებით/პოლისით განსაზღვრულ ნებისმიერ ვალდებულებას;

ასევე:

- სადაზღვევო პრემიის ერთჯერადად გადახდის შემთხვევაში - სადაზღვევო პრემიის დროულად და სრულად გადახდამდე, ხოლო განვადებით გადახდის შემთხვევაში - სადაზღვევო პრემიის მორიგი შესატანის დროულად და სრულად გადახდამდე, მზღვეველი თავისუფალია თავისი მოვალეობების შესრულებისგან.

- **მზღვეველი უფლებამოსილია დამზღვევის მიერ სადაზღვევო პრემიის გადახდის გრაფიკის 14 (თოთხმეტი) ან მეტი დღით დარღვევის შემთხვევაში, შეაჩეროს სადაზღვევო პოლისის მოქმედება. ასევე, მზღვეველი დაუყოვნებლივ მოახდენს დამზღვევის წერილობით ინფორმირებას აღნიშნულის შესახებ. დამზღვევის მიერ დავალიანების დაფარვის შემთხვევაში, სადაზღვევო პოლისის მოქმედება ავტომატურად აღდგება გადახდის დღის 24:00 საათზე, თუმცა სადაზღვევო ანაზღაურება არ გაიცემა იმ შემთხვევაზე, რომელიც დადგა სადაზღვევო პოლისის მოქმედების შეჩერებიდან დავალიანების დაფარვის დღის 24 საათამდე. იმ სადაზღვევო შემთხვევაზე, რომელიც მოხდება სადაზღვევო პრემიის გადახდის ვადის გადაცილებიდან 14 დღის განმავლობაში, სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა მხოლოდ მას შემდეგ, რაც დამზღვევი დაფარავს მიმდინარე დავალიანებას.**
- **მზღვეველი უფლებამოსილია, არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ აქტის ორმხრივად ხელმოწერამდე;**

- **სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მზღვეველისთვის შეტყობინების გაგზავნის, მოთხოვნის წარდგენის, სადაზღვევო შემთხვევის რეგულირების და სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის ფორმა და ვადები:**

- დაზღვეული ვალდებულია, შემთხვევის დადგომისთანავე სადაზღვევო შემთხვევის შესახებ მიაწოდოს მზღვეველს ინფორმაცია ცხელ ხაზზე (2 949 949).
- დაზღვეული ვალდებულია, შემთხვევის დადგომისთანავე განაცხადოს შემთხვევის ფაქტის შესახებ კომპეტენტურ ორგანოებში (შსს, ხანძარსაწინააღმდეგო სამსახური და სხვა).
- დაზღვეული ვალდებულია, მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა, წარუდგინოს მზღვეველს წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის ფაქტის შესახებ, მზღვეველის მიერ დადგენილი ფორმით (გამონაკლისს წარმოადგენს შემთხვევები, როდესაც ამის გაკეთება შეუძლებელია დაზღვეულის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, ასეთ დროს მზღვეველს ინფორმაცია შესაძლებელია მიაწოდოს დაზღვეულის წარმომადგენელმა).
- ზიანის დადგომის შესახებ განაცხადის შევსებიდან ერთი თვის განმავლობაში დაზღვეულმა ან უფლებამოსილმა პირმა უნდა წარუდგინოს მზღვეველს საქმის წარმართვისათვის, ზიანის ოდენობისა და მიზეზის განსაზღვრისათვის აუცილებელი და დაზღვევის პირობებით გათვალისწინებული შესაბამისი დოკუმენტები/მასალა, წინააღმდეგ შემთხვევაში, მზღვეველი იტოვებს უფლებას, ზიანის დადგომის თაობაზე მიღებული შეტყობინება ცნოს არარსებულად და, შესაბამისად, უარი თქვას სადაზღვევო ანაზღაურების გაცემაზე. ეს პირობა არ მოქმედებს, როდესაც ზიანის დადგომის ფაქტთან დაკავშირებით შესაბამისი ორგანო ატარებს გამოძიებას და დაზღვეულს არა აქვს შესაძლებლობა დაიცვას ამ პუნქტით განსაზღვრული ვადა.
- დაზღვევის პირობებითა და ავტოტრანსპორტის დაზღვევის პოლისით განსაზღვრული შემთხვევის დადგომისას, მზღვეველის მოთხოვნის შემთხვევაში და საჭიროების მიხედვით, დაზღვეულმა მზღვეველს უნდა წარუდგინოს:
  - წერილობითი განაცხადი ზიანის დადგომის შესახებ;

- მძღოლის მართვის და პირადობის დამადასტურებელი მოწმობები;
- ცნობა შსს-დან და ან შესაბამისი ორგანოებიდან, რომელიც ასახავს საქმისათვის მნიშვნელოვან ყველა გარემოებას;
- დამოუკიდებელი ექსპერტიზის დასკვნა მომხდარ ფაქტთან, მის გამომწვევ მიზეზებთან და ზიანის ოდენობასთან დაკავშირებით.

- მზღვეველი ვალდებულია, ყველა აუცილებელი მასალისა და დოკუმენტის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში შეადგინოს სადაზღვევო შემთხვევის აქტი და განსაზღვროს სადაზღვევო ანაზღაურების თანხა, ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობებისა და სადაზღვევო პოლისის შესაბამისად.
- მზღვეველი ვალდებულია, არ გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება სადაზღვევო შემთხვევის შესახებ აქტის ორმხრივად ხელმოწერამდე.
- მზღვეველი ვალდებულია, გასცეს სადაზღვევო ანაზღაურება დაზღვეულის მიერ აქტზე ხელმოწერიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში, ავტოტრანსპორტის დაზღვევის პირობებით დადგენილი წესით (თუ წინამდებარე პირობების გარდა, მხარეების მიერ დამატებითი შეთანხმებით სხვა ვადები არ არის გათვალისწინებული).
- მესამე პირთა წინაშე დაზღვეულის პასუხისმგებლობის რისკზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო ანაზღაურება გაიცემა დაზღვეულის პასუხისმგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაზღვეულის მიერ მესამე პირ(ებ)ისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე) კანონიერ ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, თუ არსებული პირობების გარდა, მხარეების დამატებითი შეთანხმებით სხვა ვადები არ არის გათვალისწინებული.
- o ავტომობილის ქურდობისას მზღვეველი აანაზღაურებს ზარალს, სადაზღვევო შემთხვევის დადგომიდან 1 (ერთი) თვიანი მოცდის პერიოდის გასვლის შემდეგ, თუკი ვერ მოხერხდება მოპარული ავტომობილის დაბრუნება.
- o შემცირებული ან არასრული დაზღვევა – როდესაც სადაზღვევო თანხა ნაკლებია დაზღვეული ავტომობილის საბაზრო ღირებულებაზე სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის. ასეთ დროს მზღვეველი აანაზღაურებს ზიანს სადაზღვევო თანხისა და საბაზრო ღირებულების შეფარდების შესაბამისად.

## ➢ პრეტენზიის წარდგენა

სადაზღვევო მომსახურების შესახებ წარმოქმნილი პრეტენზიის წარდგენა შესაძლებელია:

- ქოლ-ცენტრთან დაკავშირების გზით ნომერზე: +995 32 2949 949;
- წერილობითი განაცხადით მისამართებზე:
  ქ. თბილისი, ბოჭორიშვილის ქ. #88/15
  ქ. ბათუმი, ძმები ზუბალაშვილების ქ. #35/31
  ქ. ქუთაისი, წმ. ნინოს ქ. #1/38

ქ. თელავი, ალ. ვარდოშვილის ქ. #22
ქ. ახალციხე, თაბუკაშვილის ქ. #15
ქ. ზუგდიდი, მ. კოსტავას ქ. #76

- ელექტრონულად ელ. ფოსტაზე: quality@irao.ge

პრეტენზიის განხილვა მოხდება მომსახურების ხარისხის და კლიენტების კმაყოფილების მართვის სამსახურის მიერ, წარდგენიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.
მომხმარებლებისთვის შემოსულ პრეტენზიებზე პასუხის მიწოდება ხორციელდება შემოსვლის წყაროს იდენტურად ან მომხმარებლის მიერ დაფიქსირებული მოთხოვნის შესაბამისად (სატელეფონოდ, წერილობით, ელ. ფოსტაზე).
მომხმარებლებს საშუალება აქვთ, შემოსვლის წყაროს მიუხედავად, მოითხოვონ ოფიციალური წერილობითი პასუხი.

- **მზღვეველის საზედამხედველო ორგანო**

სსიპ საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახური
მისამართი: ქ. თბილისი, ლევან მიქელაძის ქ. #3
ტელ: +995 32 223 44 10
ვებგვერდი: www.insurance.gov.ge